# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 139

ქალაქი ქუთაისი 30 ნოემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,
ირაკლი შენგელიას ანგარიშის შესახებ მიმდინარე მოწვევის პერიოდში
(2021 წლის დეკემბერი – 2022 წლის ნოემბერი)
გაწეული მუშაობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35–ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, 132-ე და 134-ე მუხლების საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეფასდეს დადებითად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი – 2022 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის თაობაზე.

(მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია

241
1 - 12 - 2022

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის
№ 139 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,
ირაკლი შენგელიას ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში
(2021 წლის დეკემბერი – 2022 წლის ნოემბერი) გაწეული
მუშაობის თაობაზე

## შესავალი ნაწილი

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჩემს ანგარიშში ყურადღებას გავამახვილებ მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე.

მოგეხსენებათ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული 35 წევრისაგან.

ახალი, მეშვიდე მოწვევის საკრებულო თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას შეუდგა გასული წლის დეკემბრის თვიდან, რომელმაც თავის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ორგანიზაციული, მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის, საფინანსო – საბიუჯეტო, მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის, სოციალური, კეთილმოწყობისა და საყოფაცხოვრებო – კომუნალური, ტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის განვითარების მიმართულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულო, მოწვევის პერიოდში, შეეცადა საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას.

## ორგანიზაციული მიმართულებით გაწეული საქმიანობა

საკრებულომ, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფის საკითხებს.

2021 წლის 3 დეკემბერს, საკრებულოს პირველ სხდომაზე, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, საკრებულომ ნდობა გამომიცხადა და ამირჩია საკრებულოს თავმჯდომარედ. ჩემი წარდგინებით, არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვას.

მიმდინარე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის შემდეგ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების, კომისიების თავმჯდომარეებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების შემადგენლობით ჩამოყალიბდა საკრებულოს ბიურო, რომელიც განისაზღვრა 11 წევრით.

საანგარიშო პერიოდში, მომზადდა და ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 16 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა საკრებულოს 16 სხდომის დღის წესრიგის პროექტი, სხდომებზე განსახილველი დღის წესრიგებით განსაზღვრული საკითხები, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს აპარატის მიერ, განსახილველი საკითხების თაობაზე მომზადებული დასკვნები და წინადადებები. დასკვნებში ჩამოყალიბებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით. ბიუროს მიერ, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც, საკრებულოს შესაბამის სხდომებზე გასწორდა სამართლებრივი აქტების პროექტებში არსებული რედაქციული და სამართლებრივი ხასიათის ხარვეზები, რამაც ხელი შეუწყო საკრებულოს მიერ მიღებული ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების კვალიფიციურ დონეზე გამოცემას. საყურადღებოა, რომ საკრებულოს ბიუროს მე-14 და მე-15 სხდომებზე, მიმდინარე წლის 28 სექტემბერსა და 26 ოქტომბერს, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, რეგისტრაციაში გატარდა საკრებულოს უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრები. ვფიქრობ, აღნიშნული, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკრებულოს პოლიტიკურ სპექტრს საერთო პოლიტიკური კოორდინაციის საქმეში, რაც საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს საკრებულოსათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების სწორად წარმართვას.

მოწვევის პერიოდში, სერიოზული ყურადღება დაეთმო საკრებულოს სხდომების მომზადებისა და ჩატარების მდგომარეობას. 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე ჩატარებულია საკრებულოს 17 სხდომა. მათ შორის 12 რიგითი, 5 რიგგარეშე. სხდომების მომზადებისა და ჩატარებისას დიდი ყურადღება ექცევა საჯაროობის პრინციპების დაცვას, ყველა სხდომის მოწვევისა და მათი დღის წესრიგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება კანონის სრული დაცვით, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე-3 სართულზე განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე, ტელე-რადიო კომპანია „რიონისა" და ფეისბუქ გვერდის მეშვეობით. პრაქტიკაშია საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების პროაქტიული გამოქვეყნება ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე. უზრუნველყოფილია სხდომებზე მოწვეულ პირთა და სხდომებში მონაწილეობის მსურველთა დასწრება. სხდომები გადაიცემა ტელე-რადიო კომპანია „რიონისა" და ინტერნეტის მეშვეობით, პირდაპირი ტრანსლაციით, რითაც დაინტერესებულ მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, თვალ-ყური ადევნონ სხდომის მიმდინარეობას.

საკრებულოს სხდომები ტარდება ორგანიზებულად, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკრებულოს პირველი რიგითი სხდომა. მოგეხსენებათ, პირველი სხდომა, ძირითადად, ორგანიზაციული ხასიათის საკითხების განხილვას მოიცავს, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის მრავალ პროცედურასთან. განსაკუთრებით, შრომატევადი პროცესებით არის დატვირთული ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურები, რომლის მაღალ დონეზე ჩატარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკრებულოს აპარატის სწორად და გამართულად მომზადებულმა სხდომის მასალებმა. სხდომისათვის მომზადდა 29 სამართლებრივი აქტის პროექტი, ფარული კენჭისყრის შემაჯამებელი 9 ოქმის ფორმა, ბიულეტენები და სიები ფარული კენჭისყრებისათვის, სხვა მასალები. უნდა ითქვას, რომ ხსენებული სხდომა ხარვეზების გარეშე ჩატარდა.

მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულომ სხვადასხვა დროს, იმსჯელა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ შემდეგ ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით: საკრებულოში ფრაქციების: „ქართული ოცნებისა" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცნობად მიღებისა და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, საკრებულოს ფრაქციებისაგან წარდგენილი წევრებით და

საკრებულოს წევრთა პირადი განცხადებების საფუძველზე განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღებისა და მათში ცვლილების შეტანის შესახებ; საკრებულოს ფრაქციების მიერ კანდიდატურათა წარდგენის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ; პირადი განცხადებების საფუძველზე, საკრებულოს წევრების: დავით აბულაძისა და ლევან სანიკიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ; საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამ კომისიის თავმჯდომარის, ლევან სანიკიძისათვის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ; საკრებულოს წევრის, დავით აბულაძის ადგილმონაცვლის, საკრებულოს წევრის, კობა გურულისა და საკრებულოს წევრის, ლევან სანიკიძის ადგილმონაცვლის, ჯემალ ბიბილეიშვილის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ"; საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა.

სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მოგეხსენებათ, ამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებებში ასახულია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების დამთავრების შესახებ დათქმები. საკრებულოს კომპეტენციიდან ამოღებულია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული ცვლილების თანახმად, საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. კოდექსის ცვლილებები შეეხება აგრეთვე, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის წარმართვის წესის ცვლილებას (საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნისას, - საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე), ცვლილებებია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების შესახებ შესაბამის მუხლში (ამ მუხლით გათვალისწინებულია, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის პირველი მოადგილე), საკრებულოს კომისიების შემადგენლობების განსაზღვრის, კომისიების თავმჯდომარეების არჩევისა და კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის წესში. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის დღის წესრიგში დამატებულია საკითხი საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების თაობაზე. ცვლილებებია საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის, ფრაქციის შექმნის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის განსაზღვრის წესში. დამატებულია მუხლი, საკრებულოს უმრავლესობისა და ოპოზიციის რეგისტრაციის თაობაზე.

საკრებულოს რეგლამენტში გათვალისწინებულ იქნა როგორც საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებები, ასევე, მასში ასახულია საკრებულოს წევრთა წინადადებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად: შეცვლილია საკრებულოსა და მისი ორგანოების სხდომების დისტანციურ რეჟიმში ჩატარების, აგრეთვე, საკრებულოს სხდომაზე მიმართვებისა და განცხადებების განხილვის წესი, დამატებულია თავმჯდომარის მოადგილეების ფუნქციები, ასახულია გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში შეტანილი ცვლილებები. კორექტირებულია რეგლამენტის [illegible], რომელიც კომისიის წევრის უფლება-მოვალეობებს შეეხება. 44-ე მუხლის მე-4 პუნქტში დაზუსტდა იმ მუდმივი კომისიის

სახელწოდება, რომლის ფორმირებამდეც ახორციელებს სამანდატო დროებითი კომისია საქმიანობას. ამოღებულ იქნა 104-ე მუხლი (საკრებულოს კომისიის შემადგენლობის დამტკიცების წესი), რადგან, კომისიის შექმნისა და კომისიების შემადგენლობების განსაზღვრის წესი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით რეგლამენტის 23-ე მუხლში, ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებით. საკრებულოს რეგლამენტში შეტანილ იქნა სულ 39 ცვლილება.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, საკრებულომ მიიღო ნორმატიული აქტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ", რომლის შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირ საკრებულოს წევრს, საკრებულოს აპარატში წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, აუნაზღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული რეალური ხარჯები 800 ლარის ფარგლებში. დოკუმენტში გაწერილია აგრეთვე, ამომრჩეველთა საკომუნიკაციოდ საკრებულოს წევრის ტრანსპორტირებისა და სატელეფონო ხარჯების ანაზღაურების წესიც. ვფიქრობ, აღნიშნული დოკუმენტი საგრძნობლად შეუწყობს ხელს საკრებულოს წევრებს თავიანთი უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკრებულომ მიიღო ნორმატიული აქტები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი პირველადი სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილებები იქნა შეტანილი მერიის საშტატო ნუსხაში, რომელშიც აისახა მერიაში ჩატარებული რეორგანიზაციის შესაბამისად განხორციელებული სტრუქტურული ერთეულების ცვლილებები, ამასთან, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განისაზღვრა მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები.

### საფინანსო – საბიუჯეტო მიმართულებით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

გასული წლის 29 დეკემბრის რიგით მე-2 სხდომაზე საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც საბოლოოდ დაკორექტირდა გასული წლის ბიუჯეტი. ამავე სხდომაზე განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები. მოგახსენებთ, რომ საკრებულოს მიერ, 2022 წლის ქალაქის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის მიღებას წინ უსწრებდა ბიუჯეტის განხილვის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები. პროექტი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საყოველთაო განხილვის მიზნით, გამოქვეყნდა პროაქტიულად. უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში აქტიურად იყო ჩართული როგორც წინა მოწვევის, ასევე, მიმდინარე მოწვევის საკრებულოს წევრები. გაიმართა საჯარო შეხვედრები, საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე, კომისიების მიერ შემუშავდა დასკვნები, რომლებშიც ჩამოყალიბებული წინადადებები გათვალისწინებულ იქნა ბიუჯეტის პროექტში. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ შეადგინა 89 876,8 ათასი ლარი და 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 29 790,3 ათასი ლარით. გამომდინარე აქედან, საგრძნობლად გაიზარდა ინფრასტრუქტურის, განათლების,

კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება. 2021 წლის 29 დეკემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება.

მიმდინარე წლის 26 იანვარს, 30 მარტს, 17 ივნისს და 28 სექტემბერს საკრებულომ მხარი დაუჭირა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2022 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველ ცვლილებას საფუძვლად დაედო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 9442,2 ათასი ლარის გამოყოფა. ამასთან, განაწილდა 2022 წლის 1-ლი იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ნაშთი (საბიუჯეტო სახსრები) – 3652,3 ათასი ლარი. 1,5 მლნ. ლარით გაიზარდა არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და განხორციელდა შიდა მუხლობრივი ცვლილებები. ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანმა ასიგნებამ ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 106063,3 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მეორე ცვლილება განაპირობა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში შეტანილმა ცვლილებამ. ხსენებული განკარგულების შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამის პროგრამულ კოდებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხდა 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება. ცვლილების საერთო მოცულობამ 9735,3 ათასი ლარი შეადგინა, რომლის ძირითადი ნაწილი მიმართული იქნა მიკროსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (1464,4 ათასი ლარი), პირველი სამუსიკო სკოლისა (1630,7 ათასი ლარი) და გზების რეაბილიტაციაზე (2318 ათასი ლარი), გამწვანებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებზე. მეორე ცვლილების შედეგად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანმა ასიგნებამ ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 115798,6 ათასი ლარი.

2022 წლის 17 ივნისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 და 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ, გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამა გაიზარდა 739,6 ათასი ლარით, ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა - 4949,2 ათასი ლარით, მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა - 2152,5 ათასი ლარით, სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია - ექსპლოატაციის ქვეპროგრამა - 1320,2 ათასი ლარით. სოციალური ღონისძიებების პროგრამას დაემატა მავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა, რომელიც განისაზღვრა 70,0 ათასი ლარით, აგრეთვე, ბავშვის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნა 30,0 ათასი ლარი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად შეიქმნა ახალი სამსახურები (მუნიციპალური სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების; მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების; კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური). ასევე ჩამოყალიბდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია", რომელთა დაფინანსებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი ხარჯები.

ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით მოხდა 2022 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება. მესამე ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანმა ასიგნებამ ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 125590,0 ათასი ლარი.

2022 წლის 28 სექტემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წარმოუდგინა 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მეოთხე ცვლილება, რომელიც განპირობებული იყო იმით, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოეყო 340,0 ათასი ლარი სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, 100,0 ათასი ლარი - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამა გაიზარდა 209,0 ათასი ლარით, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის ქვეპროგრამა - 186,3 ათასი ლარით, ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებების ქვეპროგრამა გაიზარდა 409,7 ათასი ლარით. დაკორექტირდა სხვადასხვა პროგრამები საბიუჯეტო სახსრების ნაწილში, კერძოდ, ადგილობრივი სახსრები გაიზარდა 4881,9 ათასი ლარით. შესაბამისად, გაიზარდა შემოსავლების ნაწილი. მოხდა 2022 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება. მეოთხე ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანმა ასიგნებამ ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 131967,2 ათასი ლარი.

საკრებულომ, საანგარიშო პერიოდში, სერიოზული ყურადღება მიაქცია ბიუჯეტის შესრულების კონტროლისა და მისი შესრულების შეფასების საკითხებს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე განხილვის შემდეგ, 2022 წლის 30 მარტს, საკრებულოს მე-5 რიგით სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. საკრებულოს ბიუროს მე-5 სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საკრებულოს მიერ, ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს წევრებს, კომისიებსა და ფრაქციებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქალაქის მერის მიერ, საკრებულოში წარმოდგენილ ინფორმაციებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 3 თვის, 6 თვისა და 9 თვის შესრულების მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ კარგა ხანია, დაწყებულია კამპანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აქტიური მუშაობა წარიმართა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საქმიანი შეხვედრები მოეწყო ქალაქის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქალაქის მოსახლეობასთან, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს ქალაქის მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის მიღების საქმეში.

მიმდინარე წლის 15 ნოემბერს, ქალაქის მერის მიერ, საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 -2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, 2023 წლის კაპიტალური ბიუჯეტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბიუჯეტის დანართები საყოველთაო განხილვის მიზნით, პროაქტიულად გამოქვეყნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია. გარწმუნებთ, რომ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ყველა წინადადება და ინიციატივა ყურადღებით იქნება განხილული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 63452,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4907,0 ათასი ლარით.

საკრებულო

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა 85917,6 ათასი ლარია.

მომავალი წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, **ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის** გათვალისწინებულია 11805,0 ათასი ლარი; **განათლებისათვის** - 16653,0 ათასი ლარი (მათ შორის: სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირებისათვის - 16400,0 ათასი ლარი; განათლების ღონისძიებებისათვის - 253,0 ათასი ლარი); **კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის განვითარებისათვის** - 20303,6 ათასი ლარი (მათ შორის: სპორტის სფეროს განვითარებისათვის - 9588,3 ათასი ლარი; კულტურის სფეროს განვითარებისათვის - 10415,3 ათასი ლარი; ახალგაზრდობის მხარდაჭერისათავის - 300,0 ათასი ლარი); **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის** - 7772,0 ათასი ლარი (მათ შორის: ჯანმრთელობის დაცვის მიზნით - 2251,0 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფისათვის - 5521,0 ათასი ლარი); **მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯები** შეადგენს 19130,0 ათასი ლარს.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტზე, უკვე იმსჯელა საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა, რომელთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გაეგზავნა ქალაქის აღმასრულებელ ორგანოს განსახილველად. იმედია, საკრებულოს მთელი შემადგენლობა (მხედველობაში მაქვს როგორც უმრავლესობა, ასევე ოპოზიცია) აქტიურად ჩაერთვება მისი საბოლოო განხილვისა და მიღების პროცესში და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მივიღებთ ისეთ ფინანსურ დოკუმენტს, რომელიც მნიშვნელოვნად წაადგება ჩვენს ქალაქს.

**ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებისადმი მხარდაჭერა**

აღსანიშნავია, რომ საკრებულომ საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებებისა და საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020-2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების წარდგენას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებებით მოწონებულ იქნა საგრანტე კონკურსზე წარსადგენი 47 წინადადება და იდეა და 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების 16 საპროექტო წინადადება. ხსენებული განკარგულებებით გათვალისწინებულია ჩერქეზიშვილის ქუჩის, კ.გამსახურდიას ქუჩის მე-10 შესახვევის, ზ.გამსახურდიას გამზირისა და მ.კოსტავას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, გაფრინდაშვილის ქუჩის N10-სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მე-4 ჩიხის N3-ს შორის ჩამონგრეული ფერდის გამაგრება, ქალაქში ლიფტების მოწესრიგება, ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია, „მუხნარის" ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მოწყობა, ასათიანის ქუჩის N139-ში, ზ.გამსახურდიას გამზირსა და ახალგაზრდობის გამზირზე არსებული სახლების ფასადების რეაბილიტაცია, კოლხეთის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მოწყობა, ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია, საჭადრაკო და ნიჩბოსნობის სკოლების რეაბილიტაცია, ხარებავას ქუჩის N52-ში მდებარე სპორტდარბაზის რეკონსტრუქცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით აღჭურვა, რეზო ჭეიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, აღმაშენებლის გამზირზე რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურის შექმნა, საპარკინგე სივრცეების ვიდეო სამეთვალყურეო კამერებითა და სწრაფი ჩარიცხვის აპარატებით აღჭურვა, ქალაქის ისტორიული ნაწილისათვის, სადაც არაეფექტიანია სტანდარტული შიდასაქალაქო ავტობუსების გადაადგილება, მცირეგაბარიტული ავტობუსების შეძენა, გაპონოვის ქუჩაზე მდებარე სახლებისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნების მიზნით, რესტავრაცია - რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, ასსაფეხურიანი კიბის ისტორიული

იერსახის აღდგენა, რუსთაველის გამზირისა და ლადოძის ქუჩის კვეთასთან სკვერის რეაბილიტაცია, იმერეთის ყოფილი რეზიდენცია „ოქროს ჩარდახის" რეაბილიტაცია, სოციალური საცხოვრისისათვის ინვენტარის შეძენა, რუსა ქუჩაზე მდებარე ისტორიული აბანოების, წითელი და ჯაჭვის ხიდების რეაბილიტაცია, ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმის კონსერვაცია-რეაბილიტაცია და ა.შ.

### მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის მიმართულებით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის სფეროს მიმართულებით. საკრებულომ ხუთჯერ იმსჯელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის თაობაზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. სხვადასხვა დროს, ექვსი განკარგულება იქნა მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის თაობაზე. ორი განკარგულება იქნა მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით. ორი განკარგულება შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე მიღებულია 33 განკარგულება, ხოლო, მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე - 7 განკარგულება.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს თანხმობა მიეცა 16 მოქალაქისათვის უძრავი ქონების გადაცემის შესახებ.

### ქალაქის განვითარების კონცეფციის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის კონცეფციის დოკუმენტაციის განხილვის საკითხი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის მიზანია 2040 წლისათვის ქალაქი გახდეს ევროპის კარიბჭე, დასავლეთ საქართველოს ცენტრი, ცოდნის სინერგიული ქალაქი და ეკო ქალაქი. სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, დაგეგმარებას ექვემდებარება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მთელი ტერიტორია. კონცეფციაში მოცემულია ქალაქის სტრატეგიული განვითარების მიზნები და ამოცანები, ქალაქისა და მისი შემადგენელი კომპონენტების ტერიტორიების სამომავლო განვითარების რეკომენდაციები, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიული პირობები.

საკრებულოს მიერ, აღნიშნული კონცეფციის დამტკიცება საფუძვლად დაედება მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის მიღებას, რომლის ამოცანაა ქალაქ ქუთაისის მთელი ტერიტორიის განვითარება, მისი გამოყენებისა და განაშენიანების ზოგადი რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.

### ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის, კულტურის სფეროსა და სპორტის ღონისძიებების მხარდაჭერასა და განვითარებას. მიმდინარე წლის თებერვალში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ახალგაზრდობის

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის ძირითადი მიზანია მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას. ახალგაზრდობის სტრატეგია განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოების ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვას, მიწოდებას და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მზადყოფნას გამოხატავენ უპასუხონ ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელონ თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა, ხელი შეუწყონ ახალგაზრდების ჩართვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. სტრატეგია ემსახურება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოების მიერ ახალგაზრდული საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურად მართვას.

მიმდინარე წლის მაისში, საკრებულომ მიიღო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგია, რომლის ამოცანას წარმოადგენს ქალაქის კულტურის განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

საგულისხმოა, რომ საკრებულოს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება განისაზღვრა 15240 ათასი ლარით.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა გაზეთ „უქიმერიონის" 8 ნომერი, ჟურნალ „მწვანეყვავილას" 3 ნომერი, ჟურნალ „განთიადის" 10 ნომერი. ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 7 გამოფენა. ქუთაისელი მწერლების, მხატვრებისა და თეატრალური მოღვაწეების საიუბილეო პროგრამის ფარგლებში გაიცა ჯილდო 16 თეატრალურ მოღვაწეზე, 6 მხატვარსა და 2 მწერალზე. ქუთაისის თეატრების ფუნქციონირებისათვის მხარდაჭერის პროგრამის საფუძველზე, მემორანდუმის ფარგლებში, თანხა გამოეყო ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მ.ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, ქუთაისის წიგნების თეატრს, პანტომიმის თეატრს და ი.გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს. ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი „ბერმუხა" და ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი დაფინანსდა ყოველთვიური ხელფასით. საქართველოს დამსახურებული არტისტებისა და ქურუმების სტიპენდია გაიცა 10 პერსონაზე. საკონცერტო ღონისძიებებისა და ფესტივალების ფარგლებში ჩატარდა 5 საკონცერტო ღონისძიება და 1 საერთაშორისო ფესტივალი. დაფინანსდა იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის 9 თვეში ბიუჯეტიდან დაიხარჯა 191,5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ლიდერთა სკოლა, როკ მუსიკის ფესტივალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიმდინარე წელს დაფინანსდა 10 ახალგაზრდული ინიციატივა. „საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა" პროექტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება გამოეყო ორ ახალგაზრდას.

მიმდინარე წელს, სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 25 ღონისძიება.

სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ქუთაისელი სპორტსმენების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით. მიმდინარე წელს, საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებულ 31 სპორტსმენზე გაიცა ფულადი ჯილდო. 9 სპორტსმენი დაჯილდოვდა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, ფულადი ჯილდო

გაიცა საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის, მოლვაწის/მუშაკის წოდების მქონე 81 პირზე. წლის წარმატებულ 35 სპორტსმენს სტიპენდიის სახით ყოველთვიურად ერიცხება ფულადი თანხა, რომელმაც ჯამში 9 937.5 ლარი შეადგინა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 15 სპორტსმენი, რომლებიც გაემგზავრნენ საზღვარგარეთ სხვადასხვა სახის ჩემპიონატებზე და სხვ.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია - ექსპლოატაციის საკითხებს. წარმატებით მიმდინარეობს ხარებავას ქუჩის N58 ბინის მიმდებარედ სპორტული დარბაზის, ასათიანის ქუჩაზე მდებარე (ე.წ. „მარაკანა") სტადიონის რეაბილიტაცია, ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის ხელშეწყობის მიზნით, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ა.შ.

### საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ გაწეული მუშაობა

მოგეხსენებათ, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. საყურადღებოა, რომ თითოეული კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. მოწვევის პერიოდში, მათ მიერ ჩატარებულია 59 სხდომა. განხილულია 197 საკითხი, შემუშავებულია 197 დასკვნა. კომისიების მიერ ჩატარებული ყველა სხდომა იყო ღია და საჯარო. კომისიების სხდომების ჩაშლის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. სხდომების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული აღმასრულებელ ორგანოთა წარმომადგენლები.

საკრებულოს კომისიების მიერ, საკრებულოს სხდომებზე ინიცირების წესით, განსახილველად წარმოდგენილია 35 სამართლებრივი აქტის პროექტი. მათ შორის, 20 პროცედურული ხასიათისაა. 15 პროექტი შეეხება სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხებს.

მოკლედ შევეხები თითოეული კომისიის საქმიანობას:

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კომისია საკმაოდ კარგადართმევს თავს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი უფლებამოსილების განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 19 სხდომა, განხილული აქვს 66 საკითხი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით მომზადებული აქვს 65 დასკვნა და ერთი წარდგინება. დეტალურად აქვს განხილული როგორც ინდივიდუალური, ასევე, ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მათი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან. კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობასა და კონტროლს. კომისიის მიერ, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარდგენილ იქნა 12 საკითხი. მათ შორის, საკრებულოს ზოგიერთი წევრის (დ.აბულაძე, ლ.სანიკიძე) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და მათი ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრების (კ.გურული, ჯ.ბიბილეიშვილი) უფლებამოსილების ცნობის თაობაზე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ; საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ საკრებულოს შესაბამის განკარგულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე; საკრებულოს ფრაქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვ.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ საკითხთაგან მინდა გამოვყო საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის" შექმნის განხილვის საკითხი. მიმდინარე წლის იანვარში, იურიდიულ საკითხთა კომისიას განცხადებით მიმართა საკრებულოს წევრთა ერთმა ნაწილმა საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის" დაფუძნების შესახებ საკითხის განხილვის მოთხოვნით. კომისიამ ფრაქციის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, განიხილა ფრაქციის დაფუძნების შესაბამისობა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მოთხოვნებთან. გამომდინარე იქედან, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია, საკრებულოში კი, უკვე რეგისტრირებული იყო პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრებისაგან შემდგარი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ახალი ფრაქციის შექმნის მსურველთა ორი წევრი აღნიშნული პოლიტიკური პარტიით იყვნენ საკრებულოს წევრებად წარდგენილი, კომისია მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო დადებითი გადაწყვეტილება აღნიშნულ ფრაქციასთან დაკავშირებით. კომისიამ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ახალი ფრაქციის შექმნის შესახებ მიიღო უარყოფითი დასკვნა, რომლის თაობაზეც იმსჯელა ბიუროს შესაბამისმა სხდომამ. საკითხის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, კომისიის დასკვნის საფუძველზე, საკრებულომ, მიმდინარე წლის 26 იანვარს, მიიღო განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის" შექმნაზე უარის თქმის შესახებ". სასამართლომ განიხილა რა, ამ ფრაქციის წევრთა სარჩელი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად მიღებული საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის, იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოსა და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომებზე კანონის დაცვით გამართული პროცედურების გათვალისწინებით, საკრებულოს აპარატის შესაბამისი განყოფილებების (სამდივნო, ადმინისტრაციული) მიერ შედგენილი საკრებულოს ბიუროს, საკრებულოსა და იურიდიულ საკითხთა კომისიის ოქმების საფუძველზე მომზადებული შესაგებელიდან (იურიდიული განყოფილება) გამომდინარე, მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ვიმედოვნებ, იურიდიულ საკითხთა კომისია მომავალში მეტად გააქტიურებს საქმიანობას სამართლებრივი მიმართულებით, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სამართლებრივი ხასიათის ხარვეზების გამორიცხვას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიღებული აქტების მაღალკვალიფიციურ დონეზე გამოცემას.

საკრებულოს სამუშაო პროცესში აქტიურად არის ჩართული საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია. იგი იხილავს კომისიას კომპეტენციას მიკუთვნებულ საკრებულოში შემოსულ პროექტებს, ამზადებს რეკომენდაციებს, წინადადებებს, დასკვნებსა და შემდგომი რეაგირების მიზნით, გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩატარდა კომისიის 10 სხდომა, განხილულ იქნა 26 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში, კომისიამ განიხილა და შეაფასა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები; მოამზადა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 და 2023 წლის ბიუჯეტის პროექტების შესახებ, რომელიც მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას; იმსჯელა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე, 2022 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობებისა და მათი მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ; განიხილა საკრებულოს თავმჯდომარის მიმართვა – „უფასო მგზავრობის მოწყვლადი ჯგუფების შერჩევისა და მათი ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ" და მოამზადა შესაბამისი წერილი; მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზა[illegible]იშები; განიხილა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შეს[illegible] ქალაქ ქუთ[illegible]ის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები, რომელთა შესახებაც მოამზადა შესაბამისი დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში, სერიოზული საქმიანობა გასწია საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ადგილობრივ ბიუჯეტში ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი, ან მოძრავი ქონების სხვადასხვა ორგანიზაციისათვის, ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების დამუშავებას, განხილვასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას. კომისიას დღემდე ჩატარებული აქვს კომისიის 13 სხდომა, განხილული აქვს 83 საკითხი, ყველა მათგანთან დაკავშირებით მიღებული აქვს შესაბამისი დასკვნა და წარდგენილი აქვს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

საკრებულოს საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია. საანგარიშო პერიოდში, კომისიის მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვას. როგორც 2022 წლის, ასევე, 2023 წლის ბიუჯეტების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში, ყველა სამსახურთან მიიღო მონაწილეობა მის სფეროს მიკუთვნებული ბიუჯეტის პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

კომისიამ იმსჯელა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა 33 პროგრამის შესახებ. კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამებს დაემატა ახალი კორონავირუსით („Covid-19") ინფიცირებული პირების დახმარების, ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისა და ბავშვის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები, რომლებითაც განსაზღვრულია ახალი კორონავირუსით („Covid-19") ინფიცირებული პირების სამედიცინო დახმარება, ბავშვთა კოდექსის მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, ბავშვთა კოდექსის მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ მოწყვლად ოჯახებში მცხოვრები ბავშვების კოგნიტური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა.

მიმდინარე მოწვევის მანძილზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს კომისიის 13 სხდომა, განხილულია სულ 15 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები.

მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს მისი უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია, რომლის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქის ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების [illegible] კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

კომისიის მიერ, მიმდინარე მოწვევის პერიოდში ჩატარებულია კომისიის 8 სხდომა, განხილულია 10 საკითხი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოს შესაბამისი კომისიების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მათ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას, რამაც ხელი შეუწყო 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სერიოზული სამუშაოები ჩატარდა გზებისა და ტროტუარების, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის, ფასადების რეაბილიტაციის, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის შეძენის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის, ეზოების კეთილმოწყობის, ლიფტების რეაბილიტაციის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით და ა.შ.

მოგეხსენებათ, საკრებულოში, საკრებულოს წევრთაგან, შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე ორი ფრაქცია, რომლებიც საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით ატარებენ საკუთარ კურსს, გამოხატავენ ფრაქციის ერთიან პოზიციას საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, თავიანთ სხდომებზე იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე.

### ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ

აღსანიშნავია, რომ საკრებულოში ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას საკრებულოს წევრი, ქალბატონი მაგდა კოსტავა. საბჭო თავის საქმიანობით ხელს უწყობს გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით, კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფას, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას.

### ანგარიშგების პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით გაწეული საქმიანობა

საგულისხმოა, რომ საკრებულოს სამუშაო გეგმაში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებისა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს თანამდებობის პირთა მიერ, ანგარიშგების საკითხებს. გამომდინარე აქედან, საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხუთი კომისიის თავმჯდომარისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოთხი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ანგარიში. კონკრეტულად:

2022 წლის 25 მაისს, საკრებულოს მე-7 სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, გუგა ნიკოლაიშვილის ანგარიში „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ". საკრებულოს ბიუროს მე-9 სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საკრებულოს მიერ, ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

2022 წლის 27 ივლისს, საკრებულოს მე-9 სხდომაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მამუკა რიჟამაძემ და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბაქარ მახარაძემ წარმოადგინეს ანგარიშები საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. საკრებულოს ბიუროს მე-12 სხდომის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საკრებულომ კომისიების ანგარიშები მიიღო ცნობად.

2022 წლის 31 აგვისტოს, საკრებულოს მე-10 სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, ფიქრია ხაჭაპურიძის ანგარიში „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ მიმდინარე წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ". საკრებულოს ბიუროს მე-13 სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საკრებულომ ანგარიში შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

2022 წლის 28 სექტემბერს, საკრებულოს მე-11 სხდომაზე განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის, ზექა ქებულაძის ანგარიში საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიში, ბიუროს მე-14 სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, შეფასდა დამაკმაყოფილებლად. ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, თინათინ ბერიშვილის ანგარიში „მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ". საკრებულოს ბიუროს მე-14 სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ანგარიში შეფასდა დადებითად.

2022 წლის 26 ოქტომბერს, საკრებულოს მე-12 სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ანგარიშები. საკრებულომ, ბიუროს მე-15 სხდომის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ანგარიშები შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

### ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიმართულებით გაწეული საქმიანობა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო სერიოზულ ყურადღებას უთმობს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ განიხილა და მიიღო დადებითი დასკვნა „ქალაქ ქუთაისში მდებარე კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის ქართველი სპორტსმენის, ოლიმპიური ჩემპიონის, დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თაობაზე. საკითხი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, შესათანხმებლად გაგზავნილია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში. ხსენებული კომისიიდან დასტურის მიღების შემდეგ, საკრებულო თავის სხდომაზე იმსჯელებს აღნიშნული საკითხის შესახებ.

მიმდინარე წლის 29 ივლისს, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლისათვის" პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ".

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობას გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული ქალაქ ქუთაისში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის მოწესრიგებისა და სრულყოფისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი საბჭოთა პერიოდის ამსახველი სიმბოლიკები, ძეგლები, სკვერები, ხეივნები, ქუჩები და ა.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი, რათა ამ მიმართულებით, საბოლოოდ მოწესრიგდეს მდგომარეობა ქალაქში. მ/წლის ოქტომბრის თვეში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს მივმართე სადეპუტატო ინიციატივით, რათა მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს დაავალოს აღნიშნულის თაობაზე საკითხის შესწავლა, განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ წინადადებების მომზადება და კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარმოდგენა განსახილველად.

## საკრებულოს მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში

მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულო აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამართულ სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ, პროფესიულ და საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით გამართულ შეხვედრებსა და სემინარებში.

აღსანიშნავია, რომ საკრებულომ, არაერთი შეჭირვებული ადამიანის მიმართ გამოხატა როგორც მორალური, ასევე, მატერიალური თანადგომა და მხარდაჭერა.

მიმდინარე წელს, საკრებულომ უმასპინძლა მიუსაფარ ბავშვთა დღისა და კრიზისული თავშესაფრის ბენეფიციარებს. აქტიური მონაწილეობა მიიღო დაუნის სინდრომით დაავადებულ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. ორგანიზება გაუწია მსოფლიო აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, უკრაინელ ბავშვებთან შეხვედრას, საქველმოქმედო აქციას ლევან ადეიშვილის თვალის კლინიკაში. მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 100-მდე პირველკლასელისათვის სასკოლო ნივთების გადაცემაში.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა სხვადასხვა სფეროს ადამიანთა ღვაწლის დაფასებასა და ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა გახსენებასა და პატივებას. მიმდინარე წელს საკრებულო აქტიურად იყო ჩართული საპატიო ქუთაისლების სამკერდე ნიშნით დაჯილდოების ცერემონიალში, ახალგაზრდული ინიციატივების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტის „ახალგაზრდა ელჩები ქუთაისის განვითარებისათვის" მონაწილეების დაჯილდოებაში, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგებთან შეხვედრაში, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სპორტსმენ ქალებთან შეხვედრაში და ა.შ.

საკრებულომ სხვადასხვა დროს, აქტიური მონაწილეობა მიიღო გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტის - „გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაცია" ფარგლებში, გამართული მაღალი დონის ეროვნულ კონფერენციაში; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 ლოკალიზაციის სამუშაო შეხვედრაში; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ქვეყნის მიერ ნაკისრი ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებისა და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავების პროექტის მხარდაჭერის მიზნით

გამართულ დისტანციური შეხვედრაში; თემაზე: „შშმ პირთა უფლებების შესახებ აღსრულების ასპექტები" გამართულ სამუშაო შეხვედრაში; „USAID-ის" ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის გახსნის ღონისძიებაში; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით, გამართულ სემინარში, რომელიც ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხების, სამართლებრივი ჩარჩოსა და პრინციპების გაცნობას შეეხებოდა და ა.შ.

## საკრებულოს აპარატის საქმიანობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული წესით, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების უფლებამოსილებების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, 6 მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო, ადმინისტრაციული, იურიდიული, საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების, ადამიანური რესურსების მართვის, მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების მეშვეობით. აპარატი შედგება შტატით გათვალისწინებული 34 და ხელშეკრულებით დასაქმებული 10 საჯარო მოსამსახურისაგან.

მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოს აპარატის შესაბამისი განყოფილებების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობას, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალ პროფესიულ დონეზე რედაქტირების, საკრებულოს მიერ განსახილველი პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, სამართლებრივი აქტების გამოცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებს, საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომების ოქმების კანონით დადგენილი წესით მომზადებასა და შედგენას, საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადების დაცვას.

დღეის მდგომარეობით, საკრებულოს აპარატის ხელშეწყობით ჩატარებულია სულ საკრებულოს 17 (მათ შორის: რიგითი - 12, რიგგარეშე - 5) და ბიუროს 16 სხდომა (ადმინისტრაციული და სამდივნო განყოფილებები). საკრებულოს მიერ განხილულია 197 საკითხი (აქედან, 13 საკითხი შესაბამისი კომისიების რეკომენდაციებით, სხვადასხვა დროს, ამოღებულია საკრებულოს სხდომების დღის წესრიგებიდან მათი სრულყოფილად შესწავლისა და ზოგიერთი დეტალის დაზუსტების მიზნით). შედგენილია საკრებულოს კომისიების 60 სხდომის ოქმი (ადმინისტრაციული განყოფილება), საკრებულოს ბიუროს 16 და საკრებულოს 17 ოქმი. მიღებული და გამოცემულია 47 ნორმატიული და 137 ინდივიდუალური აქტი. სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს" პროგრამაში ატვირთული, გამოქვეყნებულია და სარეგისტრაციო კოდი მიკუთვნებული აქვს საკრებულოს მიერ მიღებულ ყველა ნორმატიულ აქტს (სამდივნო განყოფილება). შემუშავებულია 145 სამართლებრივი დასკვნა (იურიდიული განყოფილება) და 250 წინადადება და რეკომენდაცია (სამდივნო განყოფილება). საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მომზადებულია 38 სამართლებრივი აქტის პროექტი (სამდივნო განყოფილება), ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე საყოველთაო გაცნობის მიზნით, განთავსებულია საკრებულოს მიერ მიღებული ინდივიდუალური და ნორმატიული ხასიათის 184 სამართლებრივი აქტი (მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება).

სხვადასხვა ორგანიზაციულ და საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის 400 ბრძანება (ადამიანური რესურსების მართვისა და სამდივნო განყოფილებები).

საანგარიშო პერიოდში, სერიოზული ყურადღება მიექცა საკრებულოს აპარატში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და მისი აღსრულების სრულყოფას. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მიმდინარე წელს ჩატარდა ერთი ღია და ერთი შიდა კონკურსი. ღია კონკურსის საფუძველზე ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ერთი კანდიდატი. შიდა კონკურსის საფუძველზე, საკრებულოს აპარატში განხორციელდა რამდენიმე მოხელის კარიერული განვითარების პროცესთან დაკავშირებული ქმედება, კერძოდ, დაბალი თანამდებობიდან იმავე იერარქიული რანგის მაღალ თანამდებობაზე (მეორე კატეგორიიდან პირველ კატეგორიაზე) გადაყვანილ იქნა 9 პროფესიული საჯარო მოხელე, მათი ფუნქცია-მოვალეობების, ცოდნის, კვალიფიკაციისა და საჯარო სამსახურის სისტემაში მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით. კანონით დადგენილი წესით განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შუალედური და საბოლოო შეფასება. საუკეთესო შეფასების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეებს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მიენიჭათ მოხელეთა შესაბამისი კლასი.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოში წარმატებით განხორციელდა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა, რომლის შესაბამისად, 3 სტაჟიორს გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. საკრებულოს აპარატში პროფესიული პრაქტიკა აიმაღლა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 4-მა სტუდენტმა. პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა: „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი (სრული პროგრამა)" წარმატებით გაიარა გამოსაცდელი ვადით აყვანილმა ორმა მოხელემ. საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დახვეწის მიზნით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის საფუძველზე და თითოეული მოხელის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, განისაზღვრა მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც პროფესიული განვითარების დამატებით პროგრამას გაიარეს საკრებულოს აპარატის 9 საჯარო მოხელე (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება).

მოწვევის პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და ღიაობის თვალსაზრისით, მედია საშუალებებისა და სოციალური ქსელების აქტიურ გამოყენებას. სისტემატურად ხდება საკრებულოს სხდომების პირდაპირი ეთერით ტრანსლაცია. საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და საკრებულოს თითოეულ წევრს შესაძლებლობა აქვთ აქტიურად ისარგებლონ საკრებულოს ოფიციალური ფეისბუქ გვერდით, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდით, სატელევიზიო ეთერით ჩააბარონ ანგარიში მოსახლეობას. ქალაქის მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციები, რომლებიც ეხება საკრებულოს სხდომებს, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, მოსახლეობასთან შეხვედრებს, სოციალური პროგრამების განხორციელების საკითხებს, საკრებულოს წევრების საქმიანობას (მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქმისწარმოების წესების დაცვასა და კონტროლს. მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოში სულ შემოსულია 1002 წერილობითი განცხადება და მომართვა, რომელთაგან შესრულებულია 975, ხოლო შესრულების პროცესშია 27 (საქმისაწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილება).

სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული დოკუმენტაციების ვადების დაცვით რეაგირებისათვის. მოწვევის პერიოდში საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით შემოვიდა სულ 60 წერილობითი განცხადება და მომართვა, რომელიც მოიცავს 535 მოთხოვნას. ყველა მათგანზე გაცემულია პასუხი კანონით დადგენილი ვადების დაცვით. ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაუცემლობისა და მოთხოვნილ ინფორმაციაზე უარის თქმის შემთხვევებს ა[illegible]ია (საჯარო

საკრებულო

ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, ადმინისტრაციული, სამდივნო, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებები).

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში არსებული ხარვეზები და გასატარებელი ღონისძიებები**

ჩემ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შევეცადე, მოკლედ მომეთხრო იმ ღონისძიებების თაობაზე, რომელსაც მე და თქვენ, საკრებულოს შემადგენლობა, საკრებულოს აპარატი ვახორციელებდით საანგარიშო პერიოდში, თუმცა, არ შეიძლება გვერდი ავუარო იმ ხარვეზებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს.

გამოსასწორებელია აღმასრულებელი ორგანოს მიდგომა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების წარმოდგენის ვადებთან დაკავშირებით. საკრებულოს ფრაქციებს, საკრებულოს აპარატს სისტემატურად, ფორსმაჟორულ ვითარებაში უწევთ საკრებულოს კომისიებსა და განსახილველ საკითხებზე მუშაობა. ვიმედოვნებთ, ქალაქის მერია გამოასწორებს მიდგომას ამ მიმართულებით, რითაც საკრებულოს მიეცემა საშუალება მეტი დრო დაუთმოს განსახილველი აქტების პროექტებზე მუშაობასა და სწორი და გამართული გადაწყვეტილებების მიღებასა და გამოცემას.

ჯერ კიდევ საკმაო ხარვეზებია როგორც სამართლებრივი, ასევე, რედაქციული კუთხით, საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებში. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა უწევს საკრებულოს აპარატს აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი აქტების პროექტებზე მუშაობის დროს. აღსანიშნავია, რომ ნორმატიულ აქტებში დაშვებული სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე, საკრებულოს რიგ შემთხვევებში, უწევს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისაგან მიღებული შენიშვნების გასწორება.

ნორმატიულ აქტებში სამართლებრივი ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, საკრებულომ რამდენჯერმე გამოიყენა სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოსათვის, სამართლებრივი კონსულტაციისათვის მიმართვის თაობაზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 137-ე მუხლით საკრებულოსათვის მინიჭებული უფლებამოსილება. მიმდინარე წელს, მთავრობის ადმინისტრაციას სამართლებრივი კონსულტაციის მიზნით, გაეგზავნა 3 დადგენილების პროექტი, მათ შორის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი 2 და საკრებულოს აპარატის მიერ შედგენილი 1 დადგენილების პროექტი, რომელთა შესახებ ზედამხედველობის ორგანოდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა პროექტების კორექტირება, განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია აღნიშნული უფლების სისტემატურად გამოყენება. ვთვლი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე საჯარო მოსამსახურეებმა (მხედველობაში მაქვს, როგორც აღმასრულებელი ორგანოს, ასევე საკრებულოს იურიდიული განყოფილებები) მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების სამართლებრივად გამართვისათვის, რათა საკრებულოს მიერ მიღებულ აქტებში მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული სამართლებრივი ხასიათის ხარვეზები და თავიდან იქნეს აცილებული ის უხერხულობები, რაც შემდგომ, ამ ხარვეზების გამოსწორებასთანაა დაკავშირებული.

უნდა აღვნიშნო, რომ საკრებულომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხებში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, საკრებულოს წევრთა მიერ, მეტი დრო უნდა დაეთმოს მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარდგენის საკითხებს, მათ ინფორმირებულობას მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობების, ქალაქის განვითარების გზების, თვითმმართველობის წინაშე მდგომი გამოწვევის თაობაზე.

დასახვეწია საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლის მექანიზმები. საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს ფრაქციების, კომისიების მიერ, მათი ანგარიშების მოსმენა უფრო მიზანმიმართული და სიღრმისეული უნდა იყოს, მათი საქმიანობის შეფასებისას ნათლად უნდა გამოისახოს არსებული პრობლემები და დაისახოს მათი დაძლევის კონკრეტული გზები და ამოცანები. უნდა გაძლიერდეს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლი. სასურველია, საკრებულოს კომისიებმა პერიოდულად იმსჯელონ თავიანთ სხდომებზე, მათი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხთა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ შესაბამისი რეკომენდაციები. საკრებულოს წევრებმა მეტად უნდა ისარგებლონ ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი შეკითხვის წესით საკითხის დასმის შესაძლებლობით. აღნიშნული, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, საგრძნობლად გამოიცხავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში არსებულ პრობლემებს.

ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს ნაკლები კონტროლის მიზეზიც არის ალბათ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, მიმდინარე წლის მარტის ბოლოს, საკრებულოში წარმოდგენილ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის ანგარიშში, აღნიშნულია ფინანსური რესურსების მართვის საქმეში, წინა მოწვევის პერიოდში, ქალაქის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ არსებული ხარვეზების შესახებ.

ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სერიოზული ღონისძიებების გატარება მოუხდა ფინანსური რესურსების რაციონალურად მართვის უზრუნველყოფის მიზნით. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მიღწევას, მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის სისტემის გაუმჯობესების საქმეს. ქონების განკარგვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის კონტროლის მექანიზმების დანერგვას და ა.შ. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოების მიერ შემუშავებულ იქნა წესები, რომლებიც ემსახურება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობის დარეგულირებას, მათი მოვლა - შენახვისა და საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმების განსაზღვრას, სოციალური დახმარების მიმღებ პირთა საჭიროებების შესწავლას და დახმარების გაცემას შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე.

2022 წლის 25 თებერვალს, გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ავტომანქანების თხოვების ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირების მიერ, საწვავის გახარჯვის ყოველთვიური აღრიცხვის ფორმის დამტკიცების შესახებ", რომლის თანახმადაც, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებიდან გაცემული საწვავის მომხმარებელთა მიერ, ყოველთვიურად მზადდება ინფორმაცია გახარჯული საწვავის მდგომარეობის შესახებ, რაც იძლევა საკრებულოს მიერ გახარჯულ საწვავის აღრიცხვისა და კონტროლის დაწესების შესაძლებლობას.

2022 წლის 24 მაისს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული პირებისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით საკრებულოსათვის გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების მუხლიდან დახმარების გაცემის წესის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, განისაზღვრა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული პირებისათვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ადგილობრივი ბიუჯეტით საკრებულოსათვის გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების მუხლიდან დახმარების გაცემის პირობები, მოსარგებლეთა კატეგორიები, მათ მიერ საკრებულოში წარმოსადგენი დო[illegible]ხეები, გასაცემი დახმარების სახეობა და ოდენობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის ანგარიშის განხილვას საკრებულო მიუბრუნდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამ ანგარიშის განხილვის შემდეგ და დამატებით ღონისძიებებს განახორციელებს მათი განხილვის შედეგებიდან გამომდინარე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიმდინარე წლის 30 მარტს, საკრებულოს მე-5 სხდომაზე განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის N016016/18 წერილობითი მომართვით წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, რომელშიც მოწონებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოვლა – პატრონობის მიზნით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრაციულ დანახარჯებს და დაწესებულებების მართვას უფრო ეფექტიანს ხდის. ამასთან, მოცემულია რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

## დასკვნითი ნაწილი

საგულისხმოა, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების სრულყოფასა და განვითარებას, როგორიცაა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მხარდაჭერა, ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. საკრებულო მოხარულია, რომ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) მიმდინარე წლის 1-ელ ნოემბერს, ოფიციალურად გახსნა ადგილობრივი მმართველობის პროგრამა, რომელიც სწორედ ხსენებულ პრიორიტეტებს მოიცავს და რომლის განხორციელება საქართველოს 22 მუნიციპალიტეტშია განსაზღვრული. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის პრიორიტეტი არის ღია მმართველობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით ჩვენ გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა, არსებობს გამოწვევები და ჩვენი პრიორიტეტია ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული პროცესების განვითარებით, ხელი შევუწყოთ ქვეყნის განვითარებასა და ევროპულ ინტეგრაციას.

აღსანიშნავია, რომ დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობას და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით ნაკისრი ვალდებულებების მაღალი კომპეტენციით შესრულებას. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მმართველობის პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის გაძლიერება.

ჩვენი მხრიდან, მოხარული ვიქნებით, თუკი ქუთაისის მუნიციპალიტეტი იქნება პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის.

ბოლოს, გამოვთქვამ რწმენას, საკრებულო უფრო გააქტიურებს საქმიანობას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. თითოეული ჩვენგანი მეტ პასუხისმგებლობას გამოიჩენს იმ მოვალეობათა შესრულების საქმეში, რომლებიც გვაკისრია ჩვენი ამომრჩევლების, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის წინაშე.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია